მესამე წერილი[1]

მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელისა, ბრაშოვის შკეის მღვდლებისადმი, რომლითაც ითხოვს თავისი მოვალეობების შესრულებას - 1710, 20 ოქტომბერი[2].

ანთიმი, წყალობითა ღვთისათა სრულიად უნგროვლახეთის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი

ყოვლადპატიოსან მღვდლებს, მოძღვრებს, მამასახლისებს, მოსამართლეებს და ბრაშოვის შკეის წმინდა ეკლესიის საყოველთაოდ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ყოვლადძლიერი ღვთისაგან გისურვებთ ჯამრთელობას, მშვიდობას წმინდა ცხოვრებას და სულის ცხონებას, ხოლო ჩვენი სიმდაბლისაგან თქვენ გიგზავნით ლოცვასა და კურთხევას. წერილი რომელიც გამოგიგზავნეთ მღვდელ კერსტეას და დუმიტრუ ალბეცის მეშვეობით, მოგვივიდა და იქიდან რასაც წერთ იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც დააგვიანეთ და დადებული აღთქმის შესაბამისად არავინ არ მოსულა თქვენგან ჩვენს მოსაკითხად. იყო თუ არა ის მიზეზები ნამდვილი, ამჯერად თქვენ გპატიობთ, გლოცავთ და ვევედრებით ღმერთს. გიბოძოთ ყველაფერში შეწევნა და წარმატება ყველა სულიერ და ხორციელ საქმეში. ხოლო აწი აუცილებელია უფრო ხშირად მოიკითხოთ თქვენი სულიერი დედა -წმინდა ეკლესია რომლისგანაც თქვენც და ჩვენც გვეძლევა ცხონება და ცხოვრება. და თუ ხართ აღმოსავლეთის ქრისტეს წმინდა ეკლესიის შვილნი და მისი სხეულის ნაწილები

ვალდებულნი ხართ მოიკითხოთ ის ერთგულებით, გვერდზე დატოვოთ საქმის გადადების ყველა მიზეზი, რომლებსაც არცერთი არც ხორციელი და სულიერი სარგებელი არ მოაქვს ჩვენთვის, ამგვარ როგორც გწერთ მარადის გექნებათ ღვთისგან წყალობა, ხოლო ჩვენგან ლოცვა და კურთხევა. ასევე თქვენს ყოვლადპატიოსან

მღვდლებს ვატყობინებთ თქვენზე გავიგეთ, რომ თურმე ხშირად დადიხართ დუქნებში დასათრობად; და თუ გგონიათ, რომ ეს კარგი საქმეა, მაშინ ნახეთ სჯულის კანონის 437 გვერდზე 44-ე თავი, სადაც წერია: ,,მღვდელს, რომელიც იქნება ლოთი, თუ არ მიატოვებს ამ საქციელს, წაერთვას მადლი“[3], და თქვენ თვითონვე განსაჯეთ კარგია იცხოვროთ ამდაგვარად. და აჰა ესერა გიბრძანებთ უარი თქვათ ამაზე [სასმელზე], რომ არ მოგეწიოთ ის სასჯელი, რომელიც წერია ზემოთ აღნიშნულ კანონში.

ამას გწერთ ამჯერზე, და აღუწერელი წყალობა ღვთისა მარადის იყოს თქვენთანა და დაე დაგაკვალიანოთ სწორ [მართლმადიდებლობის] მაცხოვნებელ გზაზე.

[სამყაროს შექმნიდან][4] 7218 წელი 20 ოქტომბერი

უნგროვლახეთის [მიტროპოლიტი]
ანთიმოზი

კომენტარები:

---

[1] წერილი ინახება ბრაშოვის მუზეუმის არქივში იხ. Documentul 43/1710 din Arhiva Muzeului din Șcheii Brașovului, publicat de Sterie Stinghe, Documente privitoare la trecutul românilor din Șchei (1700- 1783), vol. I, Tipografia Ciurcu & Comp., Brașov, 1901, p. 47-49 și de ÎPS dr. Laurențiu Streza și Pr. prof. Vasile Oltean, Sfântul Constantin Brâncoveanu și brașoveanu, Editura Andreiana, Sibiu, 2014, p. 384.
წერილი თარგმნილია კრებულიდან: ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2014. გვ. 66-67. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu şi acad. Gabriel Ştrempel. - Bucureşti : Basilica, 2014 A treia scrisoare118 a mitropolitului Antim Ivireanul către preoții din Șchei, cerându-le să respecte obligațiile lor - 1710, 20 octombrie.

[2] მესამე წერილის ტექსტი ბრაშოველებისადმი, ისევე როგორც მეორე წერილისა შედგენილია რუმინულ ენაზე, მაგრამ ტექსტის დასაწყისში თავისი ტიტულის წარდგენისას ანთიმოზ ივერიელი იყენებს სლავურ ენას. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ რუმინეთის ეკლესიაში ფართედ იყო გამოყენებული სლავური ენა.

[3] შდრ: მოც. 42-43,54; ტრულ. 950; მსოფ. 22; ლაოდ. 24,55; კართ. 40,60
ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი, რომელიც თამაშსა და მემთვრალეობას მიეცა,-დაცხრეს, თუ არადა განიკვეთოს „დიდი სჯულის კაკონი“ ქართულად თარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ.

[4] სამყაროს შექმნიდან წელთაღრიცხვა, რომელსაც თავის წერილებში იყენებს ანთიმოზ ივერიელი, ეფუძნება ჯერ კიდევ ძველ აღთქმისეული ებრაული კალენდრის ტრადიციას და არა რომელიმე ,,ზუსტ“ ასტრონომიულ, არქეოლოგიურ, თუ სხვა სახის სამეცნიერო კვლევების. მიერ დადგენილს

სამყაროს შექმნიდან ან თუნდაც ქრისტეს შობიდან წელთაღრიცხვის გამოთვლა წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ ტრადიციას (ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ბოლო გამოთვლებით დადგენილია, რომ მაცხოვარი იესო ქრისტეს შობის რეალური თარიღი იყო 4-7 წლით ადრე ვიდრე ეს საყოველთაოდ არის მიღებული) და არ წარმოადგენს ეკლესიის არსებით კანონიკურ სწავლებას.